ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დიდის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

1991 ხუთშაბათი 17 იანვარი №7 (10400)

ფასი 5 კაპ.

ხალხი გმობს, ხალხი მოითხოვს!

## მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის პრეზიდენტს მ. ს. გორბაჩოვს

ინგირის აგროსამრეწველო კომბინატის მრავალრიცხოვანი კოლექტივი ერთსულოვნად უარყოფს სსრ კავშირის კონსტიტუციით დაკანონებულ და პირადად თქვენს მიერ აღიარებული სუვერენული რესპუბლიკის—საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში უხეში ჩარევის ცდას, რაც გამოიხატა თქვენს მიერ 7 იანვრის ბრძანებულებაში, ეგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთის ამბებთან დაკავშირებით.

პროტესტს ვაცხადებთ რა თქვენი „საშობაო" ბრძანებულების წინააღმდეგ, მთლიანად მხარს ვუჭერთ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული პარლამენტის გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ.

განსაკუთრებით გაუგებარია ბრძანებულების ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მილიციის გამოყვანას ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან, სადაც ექსტრემისტული ჯგუფები არღვევენ რა თქვენს ადრინდელ ბრძანებულებას იარაღის ჩაბარების შესახებ, აწიოკებენ ორივე ეროვნების მოქალაქეებს, ხდგილი აქვს მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობის ფაქტებს.

გამომდინარე აქედან კატეგორიულად მოვითხოვთ შეწყვიტოთ ყოველგვარი სახელმწიფო დიქტატი, უარი თქვით რესპუბლიკის საშინაო და საგარეო საქმეებში უხეშ ჩარევაზე.

ქართველი ერი არ დათმობს არცერთ გოჯ ქართულ მიწას.

და ბოლოს ყოველივე იმას, რაც ამჟამად ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში ხდება, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აღიქვამენ როგორც სუვერენული უფლებისათვის მებრძოლი რესპუბლიკების ხალხების გაფრთხილებას.

ბატონო პრეზიდენტო! გთხოვთ გონს მოხვიდეთ, გაითვალისწინოთ მოსახლეობის მოთხოვნილება და გააუქმოთ 7 იანვრის ბრძანებულება.

ინგირის აგროსამრეწველო კომბინატის კოლექტივი.

სოლიდარობა — ლიტველ ხალხს

## საწადელს ვერ მიაღწევენ

ამჟამად საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესები ერთხელ კიდევ არწმუნებს მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს, რომ ჩვენში გარდაქმნა და დემოკრატია ჩიხში მოექცა. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების ავადმყოფური ჟინით ატანილი ცენტრალური ხელისუფლება აშკარად გადადის მართვის ტოტალიტარულ რეჟიმზე, იმ რეჟიმზე, რომელსაც ასე მგზნებარედ გმობდნენ ახალი დროის „პოლიტიკოსები".

ლიტვაში დაღვრილი სისხლი კიდევ უფრო ახლოებს საბჭოთა იმპერიის დაშლის დღეს. შეუძლებელია ძალისმიერი მეთოდებით ჭეშმარიტი დემოკრატიული ძალების დათრგუნვა. ისტორიის ჩარხს უკან ვერავინ დააბრუნებს. არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ ჩვენს რესპუბლიკასაც თავს დაატეხონ ანალოგიური უბედურება. მაგრამ ჩვენი ხალხის ერთსულოვნება იმის მტკიცე გარანტიაა, რომ სამხედრო ხრიკებს გასავალი არ ექნება. ახლა მთავარია ერთ მუშტად შეკვრა, ეროვნული პარლამენტის გარშემო საყოველთაო დარაზმვა, რომ აგრესორი გაწბილებული უკან გაბრუნდეს.

შ. ადონია,
ნავთობბაზის მექანიკოსი.

## მთელი არსებით ვგმობ

ლიტველი ხალხის მიმართ განხორციელებული ვერაგული სამხედრო აგრესია ერთხელ კიდევ თვალნათლივ აჩენს საბჭოთა იმპერიის საშიშ დიდმპყრობელურ ამბიციებს. ლიტვა სამართლიანად იბრძვის თავისი სუვერენული უფლებების განხორციელებისათვის, სრული დამოუკიდებლობისათვის, სწორედ ამ გარემოებამ გაანაწყენა ცენტრი და მისი ერთგული დამცველი —სამხედრო კომპლექსი. ამ უკანასკნელმა ხახოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და ყველანი გააფრთხილა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. ეს ჩემი აზრით ისტორიის კანონზომიერი პროცესების ძალადობით შეჩერების ცდაა, რაც კრახით დამთავრდება. ვგმობ რა ლიტვაში განხორციელებულ აგრესიას ყოველ ჩემს თანამემამულეს მოვუწოდებ სოლიდარობა გამოუცხადოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს.

ი. ძანძავა,
ჩაის კომბინატის საამქროს უფროსი.

## აგრესია განწირულია

მიმდინარე წლის შვიდი იანვრის ბრძანებულებით პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი, ცენტრი გვადანაშაულებს იმ შეუვალ, ისტორიულ სიმართლეში, რომელსაც არ გააჩნია ალტერნატივა. ეგრეთწოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებით საქართველოს ხელისუფლებამ სავსებით სამართლიანი აქტი განახორციელა. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ამ აქტის იგნორირება.

ჩვენ ამ დღეში ვართ, და ახეთ დროს ცენტრმა ვერაგული თავდასხმა მოახდინა ლიტვის რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებზე. დაიღვარა უდანაშაულო ადამიანების სისხლი. მთელი მსოფლიო გაოგნებულია ამ ვანდალური ქმედებით. ყველა კეთილი ნების ხალხი დღეს ქართველების და ლიტველების მხარეზეა. ამაოდ ფიქრობენ ცენტრის წარმომადგენლები, რომ ამდაგვარი აგრესიით რაიმე სასიკეთოს მიაღწევენ. მათ უნდა საბოლოოდ გაიცნობიერონ, რომ რუსეთის გადარჩენის ერთადერთი გზა დღეს იმპერიის დანგრევა და რუსეთის ეროვნული სახელმწიფოს შექმნაა.

თ. როგავა,
ჩვენი კორ.

## პასუხისმგებლობა თქვენ გეკისრებათ

თქვენი 7 იანვრის ბრძანებულება უგულებელყოფს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციურ უფლებებს, სსრკ-ს კონსტიტუციასაც ეწინააღმდეგება, აგრეთვე საერთაშორისო სამართლებრივ კანონებს. იგი არის რესპუბლიკის შინაგან საქმეებში უხეში ჩარევა, რაც ადგილზე მდგომარეობის გამწვავებას გამოიწვევს, რაზედაც მთელი პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ.

ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს კოლექტივი.
46 ხელმოწერა.

## ქართველი ხალხი შონობას ვერ იგუებს

მსოფლიოში შექმნილ იმ დაძაბულ ვითარებაში, როცა კაცობრიობა აშკარად დგას სისხლისმღვრელი ომის წინაშე, როდესაც მსოფლიოს აღარ სცალია სსრკ-ში მიმდინარე პროცესებს მიადევნოს თვალი, კრემლის დიქტატორებმა დრო იხელთეს და დაიწყეს ანტიიმპერიული ძალების განადგურება. ეს აშკარად გამოიხატა ლიტვაში წითელ არმიად წოდებული კაციჭამიების მიერ ჩადენილი ვანდალური აქტებით.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია—მე-4 დასის ზუგდიდის კომიტეტის წევრები სოლიდარობას ვუცხადებთ თავისუფლებისათვის მებრძოლ ლიტველ ხალხს.

ხვალ და ზეგ მსგავსი განსაცდელის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქართველი ხალხი. უკან დასახევი გზა არ არსებობს, არაფერი გვაქვს დასაკარგი, რადგან ვიბრძვით ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული სამშობლოს თავისუფლებისათვის.

გვწამს, რომ ქართველი ერი მონობის ახალ უღელს არ შეეგუება. გვჯერა გამარჯვების! ჩვენთან არის ღმერთი!

ეროვნულ - დემოკრატიული პარტია მე-4 დასის ზუგდიდის კომიტეტი.

## გვმართებს ერთიანობა

დღეს განსაცდელის წინაშე არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ კაცობრიობის ისტორიაში. იქმნება მესამე მსოფლიო ომის წინაპირობა, რომლის მშვიდობიანად მოგვარების მცირე შესაძლებლობებიღა არსებობს.

ამ რთული ვითარებით ხარგებლობს კრემლის პირსისხლიანი აგრესორი, რომელიც თვითონვეა დაძაბულობის მთავარი ინიციატორი, და სასტიკად უსწორდება თავისუფლების გზაზე დამდგარ რესპუბლიკებს. ამით დემოკრატიულობანას მოთამაშე იმპერიამ კიდევ ერთხელ ჩამოიხსნა ნიღაბი.

ლიტვის ხელახალი ანექსია კიდევ ერთი შავი ფურცელია პირსისხლიანი იმპერიის ისტორიაში. ვინ იცის, დამპყრობელი დღეს და ხვალ საითკენ მიმართავს ორლესულ ხიშტს.

დამპყრობლისაგან სხვას რას უნდა მოელოდე, ამიტომ განსაცდელის ჟამს გვმართებს ერთიანობა როგორც მთელ საქართველოს, ასევე თავისუფლებისმოყვარე ჩაგრულ ერებს.

განსაკუთრებულ ყურადღებასა და ზრუნვას საჭიროებენ ის ადამიანები და მათი ოჯახები, ვინც პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს და შიმშილობენ მოსკოვში.

მოვუწოდებთ ზუგდიდელებს, მთელ ქართველ ხალხს, განსაცდელში ერთად უნდა დავდგეთ, დავივიწყოთ ვიწროპარტიული კამათი და ყოველი ღონით დავიცვათ ის ძვირფასი მონაპოვარი, რასაც ეროვნული მოძრაობის აღმავლობა გვქვია.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ზუგდიდის განყოფილება.

## ჩვენი საპოლემიკო კლუბი

# მხოლოდ ურთიერთთანადგომა შეგვაძლებინებს

როცა ფიქრობ ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ სხვადასხვა სახის ანომალიებზე, გიჩნდება სურვილი შეძლების დაგვარად გააანალიზო ყოველივე ამის მიზეზები და წყაროები. სურვილს ყოვლისა ის თავდაპირველი რგოლი მოძიო, რომელსაც შემდგომ, დროის მდინარების კვალდაკვალ სხვა უთვალავი რგოლები გაჰყვება და საბოლოოდ ის ავბედითი კარკასი მივიღეთ, რომლითაც მერე დღემდე ამოუხსნელი ქიმერა—საბჭოთური ტოტალიტარიზმი შეიკრა.

სამართლიანად უწოდებენ რუსეთში წამოწყებულ კომუნისტურ მოძრაობას იდეათა დრამას. ჩვენ მეტსაც ვიტყოდით. მას უფრო ტოტალური ტრაგედია შეიძლება მიესადაგოს. ბოლშევიკებმა, რუსული სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის ამ ექსტრემისტულმა ბლოკმა ფეტიშად აქცია კლასობრივი ბრძოლის კონცეფცია და წაეპოტინა რაღაც შეუძლებელს, არაცხოვრებისეულსა და ანტიადამიანურს. კომუნისტური იდეა მოხმობილ იქნა გაუცნობიერებელი მასების იდეოლოგიური ზომბირების მზაკვრულ ბერკეტად. სწორედ მასზე დაყრდნობით შეუდგნენ ბოლშევიკები მითის რეალობად გარდასახვის დონ-კიხოტურ გზას.

შემდგომ კლასობრივი ბრძოლის ყბადაღებულმა თეორიამ რა ცოდვის კალო ალეწვინა ჩვენს ხალხს, ყველასათვის ცნობილია, კომუნისტური პარტია იდეურ თანამოაზრეთა ნებაყოფლობითი გაერთიანებიდან იქცა მმართველ პარტიად. გამოაცხადა რა თავისი თავი მუშათა კლასის იდეოლოგიურ მედროშედ, მზაკვრული მეთოდებით, ძალადობისა და თვალთმაქცობის გზით მოახდინა მთელი ძალაუფლების უზურპაცია. ხალხს არწმუნებდნენ: შეიძლება მოწმე გახდეთ ყოველგვარი ბოროტებისა და სისაძაგლის, მაგრამ ნუღარ გაიკვირვებთ. ყოველივე ეს ხდება—მისი უდიდებულესობა პროლეტარიატის სურვილით და ნებით. მიუღებელია ყოველგვარი დიქტატურა, გარდა პროლეტარიატისა. ამ ანტიჰუმანურ თეზაში იმთავითვე იდო ყოველგვარი პოლიტიკური პლურალიზმის, იდეოლოგიური შემწყნარებლობის უკუგდების პოსტულატი. შემდგომ თოვლის გუნდასავით აგორებულ სისასტიკეთა გორგალს შეუძლებელია თვალი მიადევნო. თვითნებობა იქამდე მივიდა, რომ კლასობრივი ანტაგონიზმის ვერაგული ნაღმი ოჯახშიც იქნა შეტანილი. მთელს საბჭოეთში გავრცელდა პავლიკ მოროზოვის ფენომენი. მამის დამსმენელი ბიჭუნას სახელს არქმევდნენ სკოლებსა და პიონერთა სასახლეებს, დგამდნენ მის ბიუსტებს. ალისფერი პლაკატები შთააგონებდნენ ბავშვებს: „იყავით ისეთი, როგორიც პავლიკ მოროზოვი იყო“. ამას ვერ უარყოფ, ყოველივე ეს გახლავთ ისტორია საბჭოთა კავშირისა.

უსიამო ჟრუანტელი დაგივლის ტანში, როცა ლენინის მიერ 1905 წელს ჟენევაში გამოცემულ ნაშრომს: „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა“—ეცნობი, მასში ის წერს: „ხალხთა ცხოვრებაში წამოჭრილი ყველა დიდი საკითხები წყდება მხოლოდ და მხოლოდ ძალით“.

ლენინისეულ ამ თეზას მოგვიანებით მუხანათურად გამოიყენებს სტალინი, როცა ქვეყნის მთლიანი კოლექტივიზაციის სისხლიან კურსს ატარებს. ეს იყო მიწების სრული მილიტარიზაცია სახელმწიფოს მიერ, გლეხთა შრომის იმდაგვარი დაკაბალება, როგორიც წინა თაობებსაც არ ახსოვდათ.

და აქაც უტოპიური პოლიტიკის საყრდენ წერტილად მიჩნეულ იქნა იდეა—ფიქსი სოციალისტური მეურნეობის უპირატესობის შესახებ. სტალინის ცნობილი მოწოდებით—„ურტყი კულაკს“—იქცა ერთგვარ ნიშნართვის სიგნალად კერძო მეურნეობების ექსპროპრიაციის გზაზე.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მკითხველო, ნებისმიერი ხაზოვანი დოგმა ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ, დემოკრატიისაკენ [illegible]. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკური მიზანი, ერთი შეხედვით, ეს იყო ტრიბუნიდან შადრევანივით ორჭყლოდა მაღალფარდოვანი ლოზუნგები: სოციალიზმის აშენება ნიშნავს თავისუფლების, თანასწორობის, სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას. ჩვენ ამდაგვარი ჰარმონიული ხაზოვანების აშენება გვწადდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ სიტყვების კაზუისტიკა, ცრუ დაპირებები, დემაგოგია. განა იყო შესაძლებელი ჰარმონიულ ხაზოვანებაზე ფიქრიც კი, როცა ადამიანურ ურთიერთობათა სისტემა ეფუძნებოდა უნდობლობასა და შიშს, სიძულვილსა და ბეზღობას. უზნეობა, სიცრუე ყოფის ნორმა გახდა. და თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი დეფორმირებული ეთიკის წამქეზებელი გახლდათ თვით ლენინური იდეოლოგია ზნეობის შესახებ.

გავიხსენოთ: 1920 წელს, სრულიად რუსეთის კომკავშირელთა მესამე ყრილობაზე მან ასეთი რამ თქვა: კომუნისტებისათვის ზნეობა ნიშნავს სოლიდარულ დისციპლინას და შეგნებულ მასობრივ ბრძოლას ექსპლოატატორების წინააღმდეგ. ჩვენ მარადიული ზნეობისა არა გვჯერა და ყოველგვარ ზღაპრებს ზნეობის შესახებ გაქარწყლებთ“...

კიდევ კარგი, ჩვენი სახელმწიფოს მმართველობაში გამოიკვეთა პროგრესული ტენდენცია და ლენინიზმის ორთოდოქსალური დოგმები დაძლეულ იქნა. კლასობრივი ბრძოლის თეორია დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოში ერთგვარ ანაქრონიზმად აღიქმება. რაც არ უნდა საშიშად ღელავდეს მსოფლიო, ყოველგვარი წინააღმდეგობის დაძლევა ხერხდება პოლიტიკური მეთოდებითა და საშუალებებით, ეროვნული შერიგების, თანხმობის, კონსენსუსის გზით.

მკითხველებს ბოდიშს მოვუხდით, თუ ეს ჩვენი თეორიული მსჯელობა ნამეტან გაზვიადებულად მოეჩვენა. ახლა ორიოდე სიტყვით ის გავიაზროთ, თუ როგორ წარმოგვიდგენია საქართველოს მომავალი. ერთი რამ ცხადია: ახლადარჩეული პარლამენტი გონივრულად და დაფიქრებით გაივლის გარდამავალ პერიოდს, განაწამებ ქართველ ხალხს მინიმალური სიძნელეებით გამოატარებს უამრავი ნაღმითა და მეჩეჩებით გაძეძგილ ისტორიულ მონაკვეთზე.

ყოველმა ჩვენგანმა უნდა მივიღოთ მონაწილეობა იმ დიდ და გარდამქმნელ მუშაობაში, რომელსაც მქვია ეკონომიკის გამოხსნა სახელმწიფო მონოპოლიის ბრჭყალებიდან და წარმოებისა და საკუთრების ახალი ფორმებისა და სტრუქტურების დამკვიდრება.

ძნელია ეს სამუშაოები. მაგრამ ურთიერთ სიყვარული და თანადგომა, ჭირსა შიგან გამაგრებისა და შეცოდებათა ურთიერთმიტევების ქრისტიანული ტრადიცია უდაოდ შეგვაძლებინებს მათ წარმატებით ხორცშესხმას.

ზ. ცხონდია.

## რეპლიკა

### ეს მშრომელთა მოთხოვნაა

სოფელი ინგირი მოკლებულია ადგილობრივ რადიოგადაცემებს. მაშინ როდესაც წლების წინ ის ყველა ოჯახში იყო დამონტაჟებული. არის სახლი სოფლად. გამოიცვალა ხის ელექტრობოძები, გაიმართა ახალი ელექტროგაყვანილობა, მაგრამ რადიოხაზის აღდგენაზე არავის უფიქრია. არადა საინტერესოა მოწოდებული ინფორმაციების მოსმენა, როგორც რესპუბლიკური ასევე ადგილობრივი რადიოგადაცემებისა.

საკითხის დასმა დროულია და მის გადაწყვეტას ვთხოვთ სათანადო ორგანიზაციებს.

სოფლის მშრომელები.

## ამერიკელები ასე ფიქრობენ

### შეიძლება ნულიდან დაწყება

რამდენი მილიონერი ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში? ვინ შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილ მდიდრად და ყველას აქვს თუ არა სწრაფვა გამდიდრებისაკენ? ამ კითხვებზე პასუხებს აქვეყნებს თავის ბოლო ნომერში ჟურნალი „ფორჩუნი“.

მისი გაანგარიშებით, ამჟამად ქვეყანაში ცხოვრობს 58 მილიარდერი. ხოლო იმათი რიცხვი, ვინც ფლობს მინიმუმ მილიონ დოლარს, 1,6 მილიონია.

მილიონერად გახდომაზე აქ ბევრი ფიქრობს. საზოგადოებრივმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ამერიკის მოსახლეობის 88 პროცენტის ვარაუდით, ამ ქვეყანაში შესაძლებელი ხდება გამდიდრება, რომ იტყვიან, ყველაფრის ნულიდან დაწყება. 72 პროცენტს სჯერა, რომ მათ შვილებს უფრო უზრუნველყოფილი ცხოვრება ექნებათ.

გაზეთი „რაბოჩაია ტრიბუნა“

## ჟურნალ-გაზეთებიდან

# „იყო ჭკვიანი — ეს ყველაზე რადიკალური აქტია“

მსოფლიოში აღიარებული ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი ისე წავიდა ამ სოფლიდან, რომ თავის სამშობლოში ბევრმა არ იცოდა მისი დამსახურების შესახებ.

გთავაზობთ ჟურნალ „ნოვოე ვრემიაში“ გამოქვეყნებულ ლ. რაზგონის წერილის თარგმანს მცირე შემოკლებით:

იყო ერთი ფილოსოფოსი. ფილოსოფოსები, როგორც ცნობილია, იყოფა ორ ნაწილად, ერთნი ისინი, ვინც ცდილობენ შეიცნონ სამყარო, ადამიანის ადგილი და დანიშნულება ამ სამყაროში, ხოლო მეორენი — ვინც ისწრაფვიან სამყაროს გარდაქმნისაკენ.

პირველებს ყოველთვის ცუდად მიუდიოდათ საქმე: მათ დასცინოდნენ, რიყავდნენ, აძევებდნენ, სამსალას ასმევდნენ. სამყაროს გარდამქმნელები კი შედარებით უკეთ გრძნობდნენ თავს, რადგან ამ სამყაროს გარდაქმნას ისინი ცდილობდნენ თავის და თავისიანთა სასარგებლოდ.

მერაბ მამარდაშვილი პირველ ნაწილს ეკუთვნოდა, და ის აკეთებდა თავის რთულ და უმრავლესობისთვის შეუცნობ, და ამდენად გაუგებარ საქმეს ყველაზე საშინელ, ყველაზე მკაცრ პირობებში, რომელთან შედარებითაც სოკრატეს ეპოქა წყნარ და მშვიდობიან დროდ მოჩანს.. მერაბ მამარდაშვილს არასდროს არ რქმევია სახელოვანი „დისიდენტის“ სახელი. ის ხელს არ აწერდა პოლიტიკურ დოკუმენტებს, არ გამოდიოდა მიტინგებზე, არ გაწამაწიობდა დეპუტატობისთვის. მის განკარგულებაში მხოლოდ ერთი ინსტრუმენტი იყო—საკუთარი ჭკუა-გონება. და ის არ ცდებოდა ჩვენს დროში ჭკუის შეფასების მხრივ. პრესით თავის ერთ-ერთ ბოლო გამოსვლაში ის წერდა: „ამ მხეცურ იდიოტიზმში, რომელიც გვერგო საბჭოთა სისტემისაგან და რომელიც დამკვიდრდა ჩვენში, ამ მოჩვენებათა ქაოსში—იყო ჭკვიანი, ეს ყველაზე რადიკალური აქტია“.

მე ფილოსოფოსი არა ვარ და ვერ ვისაუბრებ ამ უდიდეს მეცნიერებაზე, რომელსაც იგი იყო შეჭიდებული და სადაც ერთ-ერთი უდიდესი ადგილი დაიკავა მსოფლიოში, მაგრამ მერაბის გონიერებაზე შემიძლია ვილაპარაკო, ისევე როგორც ამას შეძლებდა ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება გაცნობოდა მას, ესმინა მისთვის, ესაუბრა მასთან. ის ყველაზე მეტად მანცვიფრებდა ერთი რამით—ეს იყო თავისუფალი გონება. ეს იყო გონიერება აბსოლუტურად თავისუფალი ადამიანისა, რომლისთვისაც არ არსებობდა არავითარი კავშირები, თვალახვეულობა, ჩარჩოები, რითაც ჩვენი ყოვლისდამთრგუნველი ცხოვრების სიმძიმე გვაწვება. არ არსებობდა არაფერი, გარდა თავისი საკუთარი, თავისუფალი სინდისის კარნახისა.

ათეულობით წლების მანძილზე ამ ადამიანს აწამებდნენ, სამსახურის გარეშე ტოვებდნენ, არ ბეჭდავდნენ, აჩუმებდნენ, ცდილობდნენ დაემცირებინათ, ავიწყდებოდათ რა—იმ უჭკუოებს და არარაობებს!—რომ შეუძლებელია ასეთი ადამიანის დამცირება, როგორც შეუძლებელია დამცირება სახაროვის, სოლჟენიცინის, როსტროპოვიჩის, როგორც შეუძლებელია საერთოდ დიდი პიროვნების დამცირება.

ბოლო წლებში, როცა ცოტათი ჩამოეშვა რკინის ფარდა, მერაბ მამარდაშვილს საშუალება მიეცა მიეღო მსოფლიოს სხვადასხვა განთქმული უნივერსიტეტების მიწვევა. ის ბევრს მოგზაურობდა, შესანიშნავად იცოდა უცხოური ენები, მისი სამეცნიერო რეიტინგი ყველაზე მაღალი იყო.

რა უშლიდა ხელს ასეთ ადამიანს, ეცხოვრა მშვიდად და ბედნიერად? მაგრამ მერაბის მსგავსი ადამიანი ვერასოდეს ვერ შეძლებს განზე გადგეს მეთვალყურის როლში იმ მოვლენებისაგან, რომელიც მის სამშობლოში ხდება. ის „მსოფლიოს მოქალაქე“ იყო ამ სიტყვის ყველაზე საუკეთესო და ზუსტი გაგებით. მაგრამ მას ჰქონდა სამშობლო და მთელი თავისი კოსმოპოლიტიზმის მიუხედავად (კოსმოპოლიტიზმის არა გაუკუღმართებული, არამედ ნამდვილი გაგებით) ის იყო ქართველი და ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ის იყო ქართველი ყველაფრით, დაწყებული ენიდან საყოფაცხოვრებო წესჩვეულებების ჩათვლით.

მერაბ მამარდაშვილი იყო უდიდესი ქართველი, ერის სიამაყე. მას ცხადად და უტყუარად ესმოდა ის საშიშროება, რაც მისი ხალხის წინაშე დგას, როგორც სხვა ხალხების წინაშეც. იგი ამბობდა: „განთავისუფლებული მონა იოლად ხდება პროკრუსტე, რომელიც თავისი წარმოდგენისა და თარგის მიხედვით ხელ-ფეხს აჭრის ყველას და ყველაფერს“.

ამ მშვიდ, წყნარ, ირონიულ ადამიანში არასოდეს არ იყო შინაგანი სიმშვიდე, ან თავის დასაძვრენი ირონია მიმდინარე მოვლენებისაგან. ყველაფერი გადიოდა მის გულში, რომელმაც გაუძლო მხოლოდ 60 წელიწადს.

რაც არ უნდა დიდი იყოს ეს დანაკლისი არა მარტო მისი მეგობრებისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის, არ უნდა მივეცეთ უიმედობას, და გავიხსენოთ პოეტის სიტყვები: „დედაბუნებავ, ასეთ შვილებს შენ ხანდახან რომ არ გვიგზავნიდე, სიცოცხლე გაქვავდებოდა“...

## ეს დღეები სოფლად

აგროსამრეწველო გაერთიანების სპეციალისტთა ჯგუფმა რაიონის კოლმეურნეობებსა და მეურნეობებში შეამოწმა საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოების შესრულების მიმდინარეობა. შემოწმებამ ცხადყო, რომ შრომითი კოლექტივები გონივრულად გეგმიური 104 ტონიდან დამზადდა 84 ტონა ლაო ჩაი. ნარგავების ამორტიზაციის გამო მცირეა ტუნგის მოსავალი. ვერ სრულდება სახელმწიფოსათვის ტუნგის ნაყოფის ჩაბარების გეგმა.

დაიწყო ნარჩენებისაგან ნიაკახათის კოლმეურნეობის პლანტაციებში გეგმიური 208 ჰექტარიდან კალიუმიანი და ფოსფოროვანი სასუქები შეტანილია 35 ჰექტარზე. დაიწყო პლანტაციების გადაბარვა-გაფხვიერება. 520 ჰექტარიდან პირველი ხვნა ჩატარდა 80 ჰექტარზე. 200 ტონიდან დამზადდა 10 ტონა ლაო ჩაი. 5000 კილოგრამიდან სახელმწიფოს ჩაბარდა 1900 კილოგრამი ტუნგი.

ქოყის კოლმეურნეობის პლანტაციებში დღემდე არაა დაწყებული სასუქების შეტანა, გადაბარვა-გაფხვიერება თუ პირველი ხვნა.

საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაოები წელი ტემპით მიმდინარეობს ხეცერაში. მეურნეობის პლანტაციებში ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები შეტანილია 20 ჰექტარზე, 10 ჰექტარზე ჩატარებულ იქნა გადაბარვა-გაფხვიერება. დღემდე არაა დაწყებული ლაო ჩაის დამზადება და წყალსაწრეტების ამოწმენდა.

ჭკადუაშის კოლმეურნეობის მშრომელებმა დაიწყეს პლანტაციებში კალიუმიანი და ფოსფოროვანი სასუქების შეტანა, გადაბარვა-გაფხვიერება და სხვა სამუშაოები. გადაბარვა ჩატარდა 45 ჰექტარზე. დამზადდა 37 ტონა ლაო ჩაი. გეგმიური 51 ჰექტარიდან პირველი ხვნა ჩატარდა 10 ჰექტარზე.

## გამოვლინდა ხარვეზები

იყენებენ ხელსაყრელ ამინდებს. ტრენდული ბრიგადები, რგოლები, ოჯახები საფუძვლებს უვლიან ჩაის, სიმინდისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების უხვ მოსავალს, ცდილობენ რაც შეიძლება მცირე დანახარჯებით აწარმოონ სოფლის მეურნეობის მეტი პროდუქტები.

ჭითაწყარის კოლმეურნეობაში დღეისათვის კარტოგრამების მიხედვით პლანტაციებში მინერალური სასუქი [illegible] ჰექტარიდან შეტანილია [illegible] ჰექტარზე. სასუქის შეტანის პარალელურად მიმდინარეობს ნიადაგის გადაბარვა-გაფხვიერება.

ყურადღების ცენტრშია ახალგაზრდა პლანტაციების მოვლა. [illegible] ჰექტარიდან სასუქებით გამოკვება და ნიადაგის გაფხვიერება ჩატარდა 14 ჰექტარზე. ლაგის გაწმენდა და პირველი ხვნა. ეს სამუშაო დღეისათვის ჩატარებულია 80 ჰექტარზე.

გამოვლინდა ხარვეზებიც. ცალკეულ მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში დაწყებული არაა პლანტაციების მოვლითი სამუშაოები. ზოგან კი დაბალია ტემპი.

შემოწმების დღეს ურთის კოლმეურნეობის პლანტაციებში დაწყებული არ იყო გადაბარვა-გაფხვიერება, ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქების შეტანა. ასევე დაწყებული არაა სახელმწიფოსათვის ლაო ჩაის ჩაბარება. გეგმიური 400 ცენტნერიდან სახელმწიფოს ჩაბარდა 127 ცენტნერი ტუნგის ნაყოფი. ყინვისაგან ციტრუსის პლანტაციების დაცვის მიზნით დაიწყო სამუშაოები, მაგრამ არ ყოფნით შესაფუთი მასალა. სახნავ ფართობებში დაწყებული არაა საზამთრო სამუშაოები.

## არემონტებენ ტექნიკას

ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატის კოლექტივმა გასულ წელს მრეწველობას მიყიდა 4000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც 8 კომპლექსურ-მექანიზირებული და 5 ხელით მკრეფავთა ბრიგადის დაუღალავი შრომით იქნა მიღწეული.

—მომავალი სეზონისათვის მზადებას, გვეუბნება კომბინატის მთავარი აგრონომი კოტე ფანთია,— ჩვენ ადრევე შევუდექით. ამ დაძაბულ ვითარებაში, არავის არა აქვს უფლება გულზე ხელდაკრეფილი ელოდოს ვინმეს წყალობას, სწორედ ახლაა საჭირო მკლავებდაკაპიწებული შრომა, რამეთუ თავისუფალ საქართველოს, რომლის განსახორციელებლად ფეხზეა ამდგარი ქართველი ერი, სჭირდება ძლიერი ეკონომიკა. წელს, როგორც არასოდეს არ უნდა დავუშვათ დანაკარგები.

470 ჰექტარზე 1 იანვრისათვის დამთავრებულია საზამთრო სამუშაოები, პლანტაციებში სასუქების შეტანა, ჩაკეთება, გადაბარვა, წყალშემკრები და მაგისტრალური არხების წესრიგში მოყვანა. კომბინატის კოლექტივი ემზადება გასხვლისათვის. მიმდინარეობს ტექნიკის რემონტი.

რედაქციაში მოქალაქე მოვიდა

## ყურადღებას არ გვაქცევენ

ჭარისკაცის ქვრივმა იუ გაგუამ, ერთა ქალიშვილის გაზრდა თავად იკისრა. შინმოუსვლელი მეუღლის კაპიტონის გლოვის პატივსაცემად იგი დღესაც ატარებს შავებს. ხელმოკლეობამ დარია ოჯახს. ყველას უჭირდა. უჭირდა იუსაც. მისმა ქალიშვილმა თალიკომ დედაზე ზრუნვაში გაატარა წლები. მუშაობა დაიწყო ინგირის ჩაის აგროსამრეწველო კომბინატში.

თალიკო გაგუა ამასწინათ მოვიდა რედაქციაში. მოვიდა და გვთხოვა თბილი სიტყვები დაგვეწერა იმ მისამართით, სადაც შრომობს და დახმარების ხელს უწვდიან შინმოუსვლელის ოჯახს.

აი, რა თქვა მან: კომბინატის ექსპერიმენტულ ფაბრიკაში, სადაც მე ვმუშაობ კარგი კოლექტივია, აქ ყველა ცდილობს სიკეთე გაგიკეთოს. მე ამას კარგა ხანია ვგრძნობ. მე მინდა დირექტორიდან დაწყებული რიგითის ჩათვლით ყველა მათგანს დავულოცო და ვუთხრა სამადლობელი, ღმერთი იყოს მათი მფარველი...

მშრომელთა წერილებიდან

## ვინ გვიშველის?!

წინასაარჩევნო პერიოდში მწვანეთა მოძრაობამ ეკოლოგიის დარგში ფართო მასშტაბი მიიღო და გვეგონა, რომ დაადგებოდა საშველი ჩვენს დაბინძურებულ ქალაქს, მაგრამ ნაპერწკლიდან ალი ვერ აინთო და სამწუხაროდ ამ განუკითხაობის პერიოდში უფრო იმძლავრა ანტისანიტარიამ.

კიდევ კარგი, რომ ზამთრის პერიოდია და ჟანგბადი სჭარბობს ჰაერში, მაგრამ რა გვეშველება ზაფხულში? რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, დანაგვიანებული ქუჩები თუ ნაგავსაყრელად ქცეული სანაპირო, მოუწესრიგებელი საზოგადოებრივი საპირფარეშოები თუ მოწამლული მდინარე ჩხოუში?

გვინდა თქვენი მეშვეობით შესაბამის სამსახურთა ყურადღება მივაპყროთ წალენჯიხის ქუჩის მცხოვრებთა გასაჭირსაც. ამ ქუჩაზე გადის ზუგდიდის საკონსერვო ქარხნის დაარსებიდან დამონტაჟებული კანალიზაცია, რომელმაც ვერ გაუძლო „ჟამთა სვლას" და, ხან ერთ ადგილზე ამოხეთქავს, ხან მეორეზე. უკვე ნახევარი წელია მოქალაქე ჟ. ქაძანაიას სახლის წინ ოხშივარი დგას, მდინარესავით მოედინება ქარხნის გადამუშავებული წყალი, რომელსაც ათასგვარი ნარჩენი მოჰყვება. ამავე გაუვალობაშია ჩართული ქარხნის წინ გაშენებული მრავალბინიანი სახლების სანტექნიკა, როგორც ქარხნის ხელმძღვანელობა აცხადებს, ყოველგვარი პროექტის გარეშე. მერე სად მიდის ყოველივე ეს, ჰაერში და მდინარე ჩხოუშის მეშვეობით ჩვენს საკურორტო ანაკლიის ზღვაში. დაბინძურებული ორთქლისგან ქუჩის მცხოვრებლებს ლამის კატარი გაგვიჩნდეს.

ვის არ მივმართეთ, ვინ არის გამკითხავი, ვის სცალია დღეს ასეთი „წვრილმანისათვის"?

ახლა ისიც დაგვემატა, რომ ქაძანაიას სახლის წინ კანალიზაცია ჩაინგრა, გზა იშლება და მალე ალბათ სულ გაუქმდება. დატბორილ ორმოში საშიშია ავტომანქანით ან ფეხით მოსიარულის ჩავარდნა, უბედურების შემდეგ გამოჩნდება ალბათ საშველი.

ვერ ვიტყვით, ქარხნის ხელმძღვანელობამ, ჩვენგან შეწუხებულმა საქმეს მონდომება დააკლო, მაგრამ მონდომება ერთია, გაკეთება მეორე. ვერ გააკეთეს, ვინაიდან, მათივე განმარტებით, ეს მათ შესაძლებლობებს აღემატება.

პატივცემულო რედაქციავ, იქნებ თქვენი საყოველთაოობის საშუალებით გამცნოთ ზუგდიდელებს ჩვენი გასაჭირი, გამცნოთ საქალაქო საბჭოს აღმასკომს, შესაბამის კომისიას, სანეპიდსადგურს და მწვანეთა მოძრაობას.

იქნებ ამით რაიმე ეშველოს ჩვენს გასაჭირს!

დ. სარსანია,
ჟ. ქაძანაია,
ზ. ნაყოფია,
ბ. აბსაჯა და
სხვები სულ 18 ხელმოწერა.

## ტრანსპორტი: პრობლემები დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს

რესპუბლიკის ტრანსპორტის განვითარების პრობლემებსა და პერსპექტივებზე საინფორმაციო სააგენტო „საქართველოს" კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრი ალექსანდრე ჩხეიძე.

—ბატონო ალექსანდრე, რით დაიწყება ტრანსპორტის აღორძინება და ჩამოყალიბება საქართველოში?

—ალბათ ასით... ჩვენ გადავხინჯავთ ჩვენი მუშაკების შრომის ანაზღაურების სისტემას, აგრეთვე ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულებას. დაინტერესებული შრომა ყოველ საქმეში წარმატების საწინდარია. რაც შეეხება ტრანსპორტის პარკის განახლების პრობლემებს, მოგახსენებთ, რომ ჩვენ უკვე დავდეთ ხელშეკრულებები რუსეთის ზოგიერთ საწარმოსთან „პაზის", „ლაზის" და სხვა მარკების ავტობუსების მოწოდების თაობაზე. შევუდექით აგრეთვე უნგრეთის ფირმა „იკარუსის" მიერ შემოთავაზებული წინადადების განხილვას. ისინი ითვალისწინებენ თანამშრომლობას ბარტერული ოპერაციების საფუძველზე. იმედი გვაქვს, რომ ურთიერთსასარგებლო შეთანხმებას მივაღწევთ. მეორე მხრივ რკინიგზის, სამოქალაქო ავიაციისა და საქართველოს საზღვაო ნაოსნობის ნაციონალიზაციაში ვხედავთ ამ სახის ტრანსპორტის განვითარების გზებს. ჩვენი კოლეგები ადგილებზე უკვე ამუშავებენ თითოეული ქართველისათვის დიდი ხნის ოცნების რეალიზაციის ტექნიკურ-ეკონომიკურ მექანიზმებს.

—როგორ შეიცვალა საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს ადმინისტრაციული სტრუქტურა?

—თვითონ სამინისტრო თავის თავად მაკოორდინირებელ ორგანოს წარმოადგენს, მაგრამ არა საკომანდო-ადმინისტრაციულ საფუძველზე. ჩვენი მუშაობა დაფუძნებულია ქვევიდან ზევით ნაკარნახევ რეკომენდაციებზე, გამოანგარიშებებზე და წინადადებებზე, და არა პირიქით. უახლოეს ხანში შეიქმნება ახალი საჭირო სამსახურები, მაგრამ ამჟამად არსებული განყოფილებების, სამმართველოებისა და გაერთიანებების აპარატები მნიშვნელოვნად შემცირდება, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი გადახალისდება. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ყოველი წამოწყება მხოლოდ ეროვნული ინტერესებით იქნება ნაკარნახები.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო".

მეცნიერები — წარმოებას

## საკვები ცილები... ჩაის „ნარჩენებისაგან"

ამიერიდან სანაგვეზე კი არა, არამედ როგორც საუკეთესო საკვები, მეცხოველეობის ფერმებში მიაქვთ თვით ყველაზე დაბალხარისხიანი ჩაის ნედლეულის გადამუშავების ნარჩენებიც კი. მცირემიწიან საქართველოს ასეთი პერსპექტივა დაუსახა ნამუშევარმა, რომელიც რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის მკვლევარებმა გ. კინწურაშვილმა, ზ. ჩანჩიბაძემ და ლ. ხოხაშვილმა შეასრულეს.

ჩაის ნარჩენების ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ისინი მდიდარია სხვადასხვა პოლისაქარიდებით. ასე გახდა შესაძლებელი ჩაის ფოთლის საკვებ ცილებად მიკრობიოლოგიური ტრანსფორმაცია. შემდგომ ყველაფერი მეცნიერული წრთობისა და ტექნიკის საქმე იყო. მეცნიერებმა გამოიყვანეს უსაფრთხო ბაქტერიების გარკვეული შტამები, რომლებიც შესანიშნავ ტექნოლოგებად მოგვევლინენ. ბიომასის გადამამუშავებლად არა მარტო როგორც საშუალო ვარგისის, არამედ როგორც ცხოველებისთვის მეტად ვიტამინიანი და მაღალკალორიული საკვები პროდუქტისა. როგორც ექსპერიმენტით დადგინდა, ჩაის ნარჩენებიდან ბიომასისა და პროტეინის უფრო დიდი ოდენობით გამოყოფა შეიმჩნევა ბიოტექნოლოგიური პროცესის დაწყებიდან მეოთხე დღეს. სილოსის „დამწიფებასთან" შედარებით — ეს მეტად უმნიშვნელო ვადაა.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო".

სპეციალისტი გვირჩევს

# სიელმე: მკურნალობა და პროფილაქტიკა

სიელმე—თვალის მამოძრავებელი აპარატის პათოლოგიური მდგომარეობა, ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის 1988 წლის მონაცემებით ბავშვთა ასაკში გვხვდება 2,5 პროცენტის სიხშირით, მოზარდებში—1,6, საშუალო და ხანშიშესულ ასაკში 1,1 პროცენტის სიხშირით.

კოსმეტიკურ ნაკლოვანებასთან ერთად, სიელმეს თან ახლავს სერიოზული ცვლილებები მხედველობის მონოკულურ და ბინოკულურ ფუნქციებში. პაციენტს დაქვეითებული აქვს გარემოში სწორი ორიენტაციის უნარი, ხშირად აღგილი აქვს ჩივილებს მხედველობის გაორებაზე-დიპლოპიაზე. მხედველობის დაქვეითებაზე გადახრილ თვალზე, ასთენოპიურ ჩივილებს (თავის ტკივილს, თვალების წამოწითლებას და ტკივილს) მხედველობის დატვირთვისას. ყველაფერი ეს განაპირობებს სიელმით დაავადებული პაციენტის პროფესიული ორიენტაციის არჩევის შეზღუდვას. სტაბილური და გვიან დადგენილი სიელმე მიუღებელია ისეთ პროფესიებში, როგორიცაა საჰაერო ნავიგაცია, კოსმონავტიკა, საფთო მშენებლობა, პრეციზიონული სამუშაოები—საფეიქრო წარმოება, ოქრომჭედლობა, ოპტიკური ხელსაწყოების წარმოება, აგრეთვე მედიცინის ზოგიერთი დარგი. ქირურგია, სტომატოლოგია და სხვა.

სიელმე, როგორც დაავადება იხსენიება ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში ჩვენს წელთა აღრიცხვამდე ეგვიპტის პაპირუსებში „სტრაბიზმის" სახელწოდებით. მისი გამომწვევი მიზეზი ამჟამად ც დასკუტაბელურია; ბევრ მეცნიერს მიაჩნია, რომ ორგანიზმის საერთო სისუსტე და ინფექციური დაავადებები ადრეულ ასაკში გავლენას ახდენს თვალის მამოძრავებელი კუნთების დისბალანსზე, რასაც თან სდევს სიელმე. ზოგიერთს კი სიელმის მიზეზად მიაჩნია თვალის ოპტიკურ ზრეებში დაბადებიდან თანდაყოლილი ცვლილებები, როგორიცაა ბავშვთა კატარაქტა, კერატოკონუსი, მინისებური სხეულის შემღვრევა, აგრეთვე, სხვადასხვა რეაქცია წყვილ თვალში—ანიზომეტრია და განსხვავებული ზომის გამოსახულება წყვილ თვალში —ანიზეიკონია; გარდა ამისა განსაკუთრებული ადგილი სიელმის მიზეზებს შორის უკავია ადრეულ ასაკში გადატანილ ფსიქიკურ ტრავმას (11.8 პროცენტ შემთხვევაში), მემკვიდრეობით თანდაყოლილ თვალის კუნთების დისბალანსურ განვითარებას (4,8 პროცენტ შემთხვევაში).

არჩევენ ორი სახის სიელმეს —შეთანხმებით და პარალიტიკურს. პირველი მათგანი დამახასიათებელია უმეტესწილად ბავშვთა და მოზარდთა ასაკში, მეორე კი პრაქტი—ზრდასრულ და საშუალო ასაკში. პარალიტიკური სიელმე ძირითადად ცალ თვალზეა, მაშინ, როდესაც შეთანხმებითი —ორივეზე. ნამდვილი სიელმისაგან საჭიროა განვასხვავოთ ფარული სიელმე (ჰეტეროფორია), რომლისთვისაც ხშირად დამახასიათებელია პაციენტის ჩივილები მხედველობით გადაღლისას ასთენოპიურ მოვლენებზე: თვალის სიწითლე, თავის ტკივილი, საერთო აპათია და შრომისუნარიანობის დაქვეითება. ფარულ სიელმეს თან ახლავს თვალის აშკარად გადახრა, მაგრამ ორივე მხარეზე მხედველობის ურთიერთშეთანხმებითი მოქმედების ხელოვნურად გათიშვისას ექიმის მიერ პაციენტის ერთ-ერთ თვალზე ხელის მიფარებით, ადგილი აქვს დაფარული თვალის გადახრას. იმისათვის, რომ გავარჩიოთ სიელმე ნამდვილია თუ ფარული, საჭიროა თვალის ექიმის კაბინეტში შემოწმდეს ბინოკულური მხედველობის ხასიათი ფერადი ტესტის გამოყენებით; თუ მხედველობის ხასიათი მონოკულურია მაშინ უეჭველად საქმე გვაქვს ნამდვილ სიელმესთან, თუ მხედველობა ერთდროული ხასიათისაა, ან- კიდევ ბინოკულურია, მაშინ სწორედ ადგილი აქვს ცრუ სიელმეს.

სიელმისათვის დამახასიათებელი თვალის გადახრის ძირითადად ორ მიმართულებას განარჩევენ: ჰორიზონტალურს და ვერტიკალურს. ჰორიზონტალური სიელმისას ადგილი აქვს თვალის გადახრას შიგნით (ცხვირისაკენ) და გარეთ (საფეთქლისაკენ). პირველ შემთხვევაში სიელმეს თან ხდევს ჰიპერმეტროპია 71,2 პროცენტი სიხშირით, მეორე შემთხვევაში კი მიოპია 45,6 პროცენტი სიხშირით.

მოსკოვის ჰელმჰოლცის სახელობის თვალის სნეულებათა ინსტიტუტის ბაზაზე ოფთალმოლოგთა მსოფლიო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, პროფესორ ავეტისოვის თაოსნობით დაარსებულ მხედველობის დაცვის ცენტრის 1970-90 წლების მონაცემებით შესაძლებელი გახდა სიელმის წინააღმდეგ ფუნდამენტური მეთოდების შემუშავება თანამედროვე ლაზერების პენალიზირებული სათვალეების, სინაპტოფორების, ბანარიმეტრების, გაპლოსკოპების გამოყენებით.

სიელმის წინააღმდეგ რადიკალურ მეთოდად ითვლება ოპერაცია ჰორიზონტალურ, ვერტიკალურ და ირიბ კუნთებზე ქირურგიული პლასტიკის გამოყენებით თვალის გადახრის კუთხის, გადახრის ხასიათისა და მიმართულების შესაბამისად. ოპერაცია კეთდება იმ შემთხვევაში თუ კონსერვატიული მეთოდები ერთი წლის განმავლობაში შედეგს არ იძლევა. ოპერაციის შემდგომ მიღწეული იქნება რა ორივე თვალის მაქსიმალურად პირდაპირი მდგომარეობა აუცილებელს წარმოადგენს ვარჯიშები სპეციალურ აპარატებზე მხედველობის ბინოკულური ხასიათის მისაღწევად და განსამტკიცებლად.

სიელმის პროფილაქტიკა ითვალისწინებს ექიმის დროულ ჩარევას ადრეულ ასაკში თვალის გადახრის შემთხვევაში. განსაკუთრებით ეფექტურს წარმოადგენს სიელმის [illegible] ვარჯიშები 3-4 წლის ასაკში, როდესაც [illegible] სისტემა [illegible] ებას განიცდის. პარალელურად აუცილებელს წარმოადგენს დღის სწორი რეჟიმის შემუშავება და ჯანსაღ გარემოში ბავშვთა ზრდა-განვითარება, სუფთა ჰაერი და კარგი კვება, ასევე აქტიური ბრძოლა ადრეული ინფექციისა და ტრავმატიზმის წინააღმდეგ.

სიელმის წინააღმდეგ ღონისძიებები ტარდება მხედველობის დაცვის კაბინეტების ბაზაზე ოფთალმოლოგის მკაცრი კონტროლის ქვეშ დისპანსერული აღრიცხვის თანამედროვე ნორმატივების შესაბამისად.

ვლადიმერ შენგელაია,
მოსკოვის ჰელმჰოლცის სახელობის თვალის სნეულებათა ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

## შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილებიდან გვატყობინებენ:

მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 10 იანვრამდე ჩატარებული მუშაობის შედეგად შინაგან საქმეთა ზუგდიდის საქალაქო-რაიონული განყოფილების მუშაკების მიერ დაკავებულ იქნა ზუგდიდის საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების მღდა, ბარათაშვილის ქუჩა №13-ში მცხოვრები, 1957 წელს დაბადებული იზოლდა შალვას ასული თორდია, რომლისგანაც ამოღებულია დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება და ნარკოტიკების გასაღებით მიღებული ფული 16500 მანეთის ოდენობით. ი. თორდია ადრე ანალოგიური დანაშაულისათვის ნასამართლევი გახლავთ.

9 იანვარს სასტუმრო „ეგრისის" მიმართულებით დაუდგენელმა პირმა ცეცხლსროლელი იარაღიდან მოახდინა ორი გასროლა. დადგინდა, რომ გასროლა მოხდა „ნაგანის" სისტემის რევოლვერიდან.

9 იანვარს „ნაგანის" სისტემის რევოლვერი ამოღებულ იქნა ადრე სისხლის სამართლის პასუხისგებაში ნამყოფ, სოფელ ინგირში მცხოვრებ თენგიზ ორდენის ძე ქარჩავასაგან.

იანვრის პირველ ათ დღეში ფიქსირებულია მოქალაქეთა პირადი ქურდობის 4 ფაქტი. მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.

რედაქტორი
აკ მანტურია.


## ყურადღება! ყურადღება!

ელექტროენერგიის მომხმარებელთა საყურადღებოდ!

სსრკ ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1990 წლის 20 თებერვალს დამტკიცებულია, 09-01 პრეისკურანტი, რომელიც ძალაში შევიდა 1991 წლის 1 იანვრიდან სატარიფო ჯგუფების მიხედვით:

1. სამრეწველო და მასთან გათანაბრებული მომხმარებლებისთვის დადგმული სიმძლავრით 750 კვა და მეტი: ენერგია 20 კაპ. (1 კვტსთ, სიმძლავრე 1 კვტ) 60 მან წელიწადში.

2. იგივე მომხმარებლებისათვის დადგმული სიმძლავრით 750 კვაზე ნაკლები 4 კაპ 1 კვტსთ).

3. სოფლის მეურნეობის სამეურნეო მომხმარებლებისათვის 1 კაპ. (1 კვტსთ).

4. რკინიგზის ტრანსპორტი —3 კაპ. (1 კვტსთ).

5. საქალაქო ელექტროტრანსპორტი 4 კაპ. (1 კვტსთ).

6. არასამრეწველო მომხმარებელი მოსახლეობის კომუნალური მომსახურება 4 კაპ (1 კვტსთ).

ელენერგიის ნებისმიერი მომხმარებელი ვალდებულია გამოიყენოს ზემოთ მოცემული ტარიფი, ვიდრე არ მოხდება მისი კორექტირება, რომელიც ასევე იქნება გამოქვეყნებული განცხადების სახით.

ზუგდიდის ელქსელის დირექცია.


მეუღლე ნუგზარი. შვილები: ალბერტი. ზაალი. დები: ლუნა, ციალა, ძმა ალიკო მესხიები, ბიძია იპოლიტე მორგოშია, მული. ნაზია. მაზლები: ნოდარი, ბონდო, ჟორესი. გენო მაქაცარიები. სიძეები როინ მესხია, ნოდარ კაცია, სულიკო პაპელაშვილი, გიგლა როგავა., ზვიად ბოკერია, რძლები მიმოზა მესხია. პანია, ლენტო მიმოზა, იზო. ინგა. ხათუნა მაქაცარიები, დისშვილები: დათო. მაია. ხათუნა. ფატიმა, ლევანი, ძმისშვილები: შორენა, მალხაზი, ალექსანდრე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები იუწყებიან

ლიანა დიმიტრის ასულ
მესხია-მაქაცარიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20, 21 იანვარს. დაკრძალვა 22 იანვარს 5 საათზე სოფელ ყულიშკარში.

---

იპოლიტე, ხუტია ნანავები, ტარიელ ჰურღულია ოჯახებით იუწყებიან

შოთა ნიკოლოზის ძე
მირცხულავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ნარაზენის №2 საშუალო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი და მოსწავლეთა მშობლები იუწყებიან, ამავე კლასის მოსწავლის

ლესია ნოდარის ასულ კიტიას

გარდაცვალებას.

---

მეუღლე ვენერა, შვილები: მთვარიკა., მზისა, ჯამბული. ელგუჯა, ხვიჩა, დები ლუნა, ინეზა, ძმები: ვლადიმერი, რეზო, გურამი კანდო. მამიდა ლუბა. დეიდა ქსენია, ბიძები. კუჭა, მამია ჯინჯოლიები. სიძეები: ოთარ გამისონია, არსენა კოპალიანი. რძლები: შურა, ლამარა, ლუიზა, ირა. მარინა. ხათუნა. მარინა, შვილიშვილები: გიორგი. ლევანი. ირაკლი, ანა ლუბელაძეები, დისშვილები: თემური, ვალერი. ჯონი აფაქიძეები. ტარიელი, ნანა. ნონა მესხიები. მარიკა, მაია, მაყვალა გამისონიები, ძმისშვილები: ზაირა, ლუიზა, ზურაბი, ზამერი. ზაქრო. ნინო. ხათუნა გულვერი. კობა, ლელა, რობერტი, ჯონი. თენგიზი, მაია, ლალი ლუბელაძეები. სიდედრი ცუცა, ცოლისდები კაკუშა, ჯუჟუნა. ზაირა. ცოლისძმები, ქვისლები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

ნოე იოსების ძე ლუბელაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19 იანვარს. დაკრძალვა 20 იანვარს ახალსოფელში.

---

ჯიხაშკარის №1 საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექპერსონალი იუწყება, რომ გარდაიცვალა

ტატიანა (ციცინა) შელიაანთელავა.

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე ალიოშა, შვილი ალიონა კუტალიები. სიძე თემურ ხარჩილავა, შვილიშვილები: ცირა, ლევანი. რძალი რაისა კუტალია. მზახლები ციალა. კოტე ხარჩილავები ახლო ნათესავებით იუწყებიან

ანა (ლუსია) ალექსის ასულ
ზელენკინა-კუტალიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 18, 19. 20 იანვარს. დაკრძალვა 22 იანვარს. გამოსვენება ქობულეთის ქუჩა 20-დან (ი. ბ. კ.) 16 საათზე.

---

მეუღლე ვალენტინა, შვილები: მიმოზა. გულთაზი. და ცაბუა, შვილიშვილები: ლელა, ზაზა მირცხულავები. იური. რომანი ზარანდიები. რძლები: ნონა, ლუბა. ვარდო. სიძე გონქლი ზარანდია, ძმისშვილები: ამირანი, გურამი, მამია, ზაური, ნათელა. დისშვილი მიშა კვარაცხელია. მზახლები: სულიკო, გერონტი ჰკადუები, მარგო ზარანდია, ძმისშვილი ბიქტორი მირცხულავა, ბიძაშვილები. მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

შოთა ნიკოლოზის ძე
მირცხულავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17 18, 19 იანვარს. დაკრძალვა 20 იანვარს სოფელ ყულიშკარში.


ჩვენი მისამართი: ყ6507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52 ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-06 სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 [illegible] 2-25-12, [illegible] რედაქციის 2-47-00

საქ. გამომცემლობის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 8000 შეკ. №149